საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/8421
30/12/2022

8421-21-2-202212301636

შპს „რუსელოისს“
მის: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბროსეს ქუჩა №2, საოფისე ფართი №21
ელ.ფოსტა: ltd.elshouse@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7512 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის ანგარიშში სრულყოფილად არ არის გათვალისწინებული სააგენტოს 2022 წლის 28 ოქტომბრის №21/5804 წერილში მითითებული შენიშვნები. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს სალექარიდან გამოსულ ჩამდინარე წყალში შეწონილი ნაწილაკების გარდა სხვა არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების არსებობის შესაძლებლობის შეფასება და შესაბამისი ხარისხობრივი მაჩვენებლები;
- წარმოდგენილ უნდა იყოს საწარმოს გენ-გეგმა, სადაც საწარმოო ჩამდინარე წყალთან ერთად, ასევე დატანილი იქნება სანიაღვრე და შლამსაცავებიდან და კუდსაცავიდან ნაჟური წყლების შემკრები სისტემის, აღნიშნული სისტემის გამწმენდ ნაგებობასთან მიერთების და გაწმენდილი წყლის ზედაპირული წყლის ობიექტში (მდ. ჩოლაბური) ჩაშვების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების თანახმად (თავი 2), სოფელ ძევრის მიმდებარედ არსებულ მანგანუმის შემცველი მადნის კარიერიდან გამამდიდრებელ საწარმოში ნედლეულის შემოტანა ხორციელდება თვითმცლელი ავტომობილებით. დოკუმენტში განხილული უნდა იყოს ავტომობილების ძარის რეცხვისა და ნარეცხი წყლის გაწმენდის და ჩაშვების საკითხები;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ნედლეულის, პროდუქციისა და შლამების/კუდების ტრანსპორტირებისას ავტომანქანების მოძრაობის მარშრუტ(ებ)ი, ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი, ასევე უნდა შეფასდეს ტრანსპორტირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე და ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება;

- ვინაიდან სკრინინგის ანგარიშში მოცემულია სხვადასხვა მონაცემები, დაზუსტებას საჭიროებს მადნის გაცხრილვის შემდეგ წარმოქმნილი ფრაქციის ზომა;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სალექარში დაგროვილი ნარჩენი შლამის გამოყენება შესაძლებელია როგორც სამშენებლო მიზნებისათვის, შემავსებელ მასალად, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სხვადასხვა საქმიანობაში. ვინაიდან, შლამი წარმოადგენს ნარჩენს, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ტექნოლოგიური პროცესის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენის (შლამის) საბოლოო მართვის საკითხი;
- განახლებულ სკრინინგის ანგარიშში წერილში მითითებულ საკითხებზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ცხრილის სახით, შესაბამისი გვერდების მითითებით;
- სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულად (PDF ფაილის ფორმატში).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო